სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

11 დეკემბერი, 2024 წელი

ბრძანება № 01-02/208

„ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის **უწყვეტი განათლების მიმართულების საკოორდინაციო საბჭოს** შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის **2024 წლის 18 ნოემბრის N01-02/193 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ,,პროფესიული განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 24 ოქტომბრის N07-01/59 გადაწყვეტილების, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2024 წლის 10 დეკემბრის N1593131 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის უწყვეტი განათლების მიმართულების საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ **ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 18 ნოემბრის N01-02/193 ბრძანებაში** შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების **N1 დანართში,** საკოორდინაციო საბჭოს შემადგენლობას დაემატოს მე-7 წევრი და, შესაბამისად, ჩამონათვალის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,,7. **ფრიდონ ჯაფარიძე - ჯანდაცვის (სტომატოლოგიის) მიმართულების კოორდინატორი** (ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი, ექიმი-სტომატოლოგი)“.

2. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძე), ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, ფაკულტეტებს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი **მერაბ ხალვაში**